

ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ  
კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის  
შესარჩევი საკონკურსო კომისიის  
დებულება

**მუხლი 1. ზოგადი ნაწილი**

ეს დებულება შემუშავებულია „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>2</sup> და 15<sup>3</sup> მუხლებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 206-ე მუხლის შესაბამისად და განსაზღვრავს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის (შემდგომ – საზოგადოებრივი დამცველი) შესარჩევი საკონკურსო კომისიის (შემდგომ – კომისია) შექმნისა და მუშაობის წესს.

**მუხლი 2. კომისიის მიზანი და ძირითადი ფუნქციები**

1. კომისიის მიზანია:

ა) საზოგადოებრივი დამცველის ღია კონკურსის წესით შერჩევა;

ბ) კონკურსანტის „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) კონკურსანტის კვალიფიკაციის, პროფესიული დონისა და პიროვნული თვისებების შეფასება;

ბ) კონკურსანტის შესაბამისი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურის წარმართვა.

**მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისია შედგება 13 წევრისაგან.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

**მუხლი 4. კომისიის წევრთა დანიშვნა**

1. კომისიის წევრები ინიშნებიან მათი თანხმობით.

2. კომისიის წევრს ნიშნავს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

3. კომისია თავის წევრთაგან სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

4. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**მუხლი 5. კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება**  
კომისიაში წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

**მუხლი 6. კომისიის მუშაობის წესი**

1. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კენჭისყრისას კომისიის წევრს არ აქვს თავის შეკავების უფლება.
4. კომისიის წევრს აქვს 1 ხმის უფლება.
5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.
6. კომისიის სხდომის ოქმს ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი კომისიის თავმჯდომარის დავალებით.
7. კომისიის წევრს უფლება აქვს, გამოთქვას განსხვავებული აზრი. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი უნდა დაერთოს კომისიის სხდომის ოქმს.

**მუხლი 7. კონკურსის გამოცხადება**

1. კონკურსს აცხადებს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდებსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე.
3. კონკურსის გამოცხადების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია სხვა საშუალებებითაც.

**მუხლი 8. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. დაინტერესებულმა პირმა კონკურსში მონაწილეობისათვის კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
  - ბ) Curriculum Vitae (CV);
  - გ) სამოტივაციო წერილი, რომელშიც მითითებულია კომუნიკაციების სფეროსა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა;
  - დ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - ე) საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ვ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ზ) 2 ფოტოსურათი (3×4).
2. სასურველია, კონკურსანტმა არსებობის შემთხვევაში დამატებით წარადგინოს:
  - ა) ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა/სერტიფიკატი;

ბ) სერტიფიკატები, რომლებიც მას შესაბამისი თანამდებობისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია;

გ) კვლევა შესაბამის სფეროში;

დ) 2 რეკომენდაცია.

### **მუხლი 9. კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი**

1. კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ამ დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2. კონკურსანტის მიერ ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის შემთხვევაში კომისია მოსთხოვს მას ხარვეზის 5 სამუშაო დღის ვადაში გამოსწორებას. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტისათვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ.

### **მუხლი 10. კონკურსის ჩატარების დრო**

1. კონკურსი ტარდება მისი გამოცხადებიდან არაუადრეს 15 დღისა.

2. თუ კონკურსში მონაწილეობისათვის არცერთი განცხადება არ იქნა წარდგენილი, გამოცხადებული კონკურსი ჩაშლილად ითვლება.

3. ხელახალი კონკურსი ტარდება ამ დებულების მე-7-მე-9 მუხლებით, ამ მუხლითა და მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი წესით.

### **მუხლი 11. კონკურსის ჩატარების ფორმა**

კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით.

### **მუხლი 12. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა**

1. კომისიის წევრი უფლებამოსილია კონკურსანტს დაუსვას შეკითხვები და დამოუკიდებლად შეაფასოს მისი პასუხები.

2. კომისია ყველა კონკურსანტთან გასაუბრების შემდეგ, დახურულ სხდომაზე აჯამებს კონკურსის შედეგებს და ატარებს კენჭისყრას.

3. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს კომისიის სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობას.

4. თუ კენჭისყრის შედეგად ვერცერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო გამარჯვებისათვის საკმარისი ხმები, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, რომლის დროსაც კენჭი ეყრება 2 საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტს.

5. განმეორებითი კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს კომისიის სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობას.

6. თუ გამარჯვებულის გამოვლენისათვის საკმარისი ხმები ვერცერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო, ცხადდება ხელახალი კონკურსი ამ დებულების მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კენჭისყრაში მონაწილე კომისიის წევრები.

8. საზოგადოებრივი დამცველის შერჩევის შემთხვევაში კომისიის სხდომის ოქმის ასლი ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გამარჯვებულ კონკურსანტს 10 დღის ვადაში ბრძანებით ნიშნავს შესაბამის თანამდებობაზე.

**მუხლი 13. კონკურსის შედეგების გასაჩივრება**

კონკურსანტს უფლება აქვს, კონკურსის შედეგები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

**მუხლი 14. კომისიის მუშაობის შეწყვეტა**

კომისიის წევრთა მიერ ამ დებულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის ხელმოწერის მომენტიდან კომისია წყვეტს მუშაობას, თუ მისი გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ გასაჩივრდა.